წელიწადი 1-ლი   გაზ. ფასი 3 შაური.   ტელეფონი: № 76.   ოთხშაბათი ნოემბრის 29—(11) 1917

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . 1 თუმანი
ცალკე ნუმერი . . . 3 შაური
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ლინგს . . . 2 მანეთი
უკანასკნელ გვერდზე . . . 5 შაური.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 1 საათ. 8 მ. 1 საათის შემდეგ 10 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 187   ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი   № 187

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები სასამართლოს ბოქაული სეით როსტომის ძე ბოჭორიშვილი და მეუღლე მისი ნადეჟდა, შვილები: ვალიკო, ზინაიდა, ნიკოლოზი, ალექსი და ვიტალი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქალთა წმ. ნინოს სასწავლებელის 5 კლასის მოწაფის

ნინას

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, 29 ნოემბერს. საფიჩხიის სასაფლაოზე. გამოასვენებენ ნაშუადღევის 2 საათზე, საკ. ბინიდან გაბრიელის ქუჩა, სირაძის სახლი.

მაგდან, ალექსის ასული, ბაქრაძისა, ელიო გოცირის ქვრივი, ვარლამ და კონსტანტინე გიორგის ძენი ბაქრაძეები და ალექსანდრე ივანესძე მხეიძე შვილებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს გარდაცვალებას

დავით ნიკოლოზის ძის ბაქრაძისას

და სთხოვენ მობრძანდენ ს. სევაში რაჭის მაზრაში, 29 ამ ნოემბერს და დაესწრონ მიცვალებულის დასაფლავებას.

ქალაქის თეატრი. პარასკევს, პირველ დეკემბერს, 1917 წელს **კოტე ფოცხვერაშვილის** გამგეობით და ქართული რაზმის სამუსიკო გუნდის მონაწილეობით გაიმართება პირველად თავისუფალ საქართველოში ქართული სამხედრო მუსიკის

სანიმუშო კონცერტი

მრავალ საკონცერტო პიესათა შორის და უცხო ერთა სარევოლუციო ჰიმნ-საგალობელთა გარდა შესრულებული იქნება პირველად საჯაროდ კ. ფოცხვერაშვილის ახალი ქართული სამხედრო მუსიკის სანიმუშო თხზულებანი:

ქართული ეროვნული ჰიმნი.
ქართული სამხედრო საგალობელი
და ქართული სარევოლუციო და საზეიმო მარში.

ბილეთები ექვსი მანეთიდან ათ შაურამდე ამთავითვე იყიდება ტეატრის კასაში

წმიდა შემოსავლის 50 პროც. გადაეცემა საუკეთესო ქართული ჰიმნის საკონკურსო თანხისათვის. ✦ დასაწყისი საღამოს რვა საათზე.

საქართველოს ფინანსები.

19 ნოემბრის აქეთ საქართველო—სახელმწიფოა, რომელსაც სჭირდება საკუთარი ორგანოები: ჯარი, ფინანსები და სხ.

აქვს თუ არა საქართველოს ეროვნულ საბჭოს უფლება დაადოს საქართველოს მოქალაქეთ სახელმწიფო გადასახადები? უეჭველია, აქვს.

საქართველო შედის დღეს, როგორც მოკავშირე, ამიერ-კავკასიის ერების კონფედერაციაში და, მაშასადამე, თანამოზიარე უნდა იყოს საერთო საფინანსო ტვირთის ზიდვაში. ერთი სიტყვით, საქართველომ უნდა მოიხადოს ვალი ამიერ-კავკასიის კონფედერაციის წინაშე და შეიტანოს თავისი წვლილი ზიარ ხაზინაში.

იმავე დროს საქართველოს ეროვნულ საბჭოს უნდა ახსოვდეს, რომ უმთავრესი მისი დანიშნულება—საქართველოს ხაზინის შექმნაა და მისმიერ გამოცემული საფინანსო დეკრეტები—საქართველოს თვითეული მოქალაქისათვის სავალდებულოა.

მეორე დაუშრეტელი საფინანსო წყარო—საერობო გადასახადებია. საქართველოს ეროვნული ყრილობის დადგენილებით საქართველოში დღესვე უნდა შემოღებულ იქნეს ერობა, რომელსაც ექნება თვითდაბეგვრის უფლება. უეჭველია, რომ საერობო სალაროებში სულ მცირე ხანს დიდი ფული შეიკრიბება. და საქართველოს ეროვნულ საბჭოს ნება ექნება გაიტანოს ამ სალაროებიდან საჭირო თანხა სესხად და მოახმაროს აუცილებელ სახელმწიფოებრივ საჭიროებათ.

და, თუ ფინანსების მხრით უზრუნველყოფილი ვიქნებით, ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრება ადვილად გადალახავს ყოველგვარ დაბრკოლებასა და გაიკვლევს გზას თავისუფლებისაკენ.

ვასილ წერეთელი.

სურსათის საქმე.

ამიერ-კავკასიის ქალაქებში სიმშილობა უკვე დაიწყო.

ბაქოს და ბათომს ამ ხანათ სურსათი სრულიად აღარ აქვთ.

თბილისში ცალ ცალკე სახლებში სასურსათო კომიტეტები მოაწყვეს, ყოველდღიურ გასაცემ პურის ნორმას მოუკლეს, მაგრამ სიმშილის საფრთხე ამით არ შორდება ქალაქს.

დასავლეთ საქართველო ეს ერთი თვეა მჭადით იკვებება.

რომ საყოფი სიმინდი მოსულიყო წელს, მაშინ ამ მოვლენას შევურიგდებოდით, მაგრამ დღეს სოფლები, რომლებიც ქალაქებს არჩენენ ხვალ სიმშილის მსხვერპლი გახდებიან.

ქალაქებში ბინადრობს ჯარი, რომელთა გამოკვება ადგილობრივ მცხოვრებთ ეკისრება.

დამდგომ ზამთრის განმავლობაში, თანახმად სამხედრო უწყების ცნობისა, კიდევ უნდა შევიხიზნოთ ფრონტზე მოხსნილი ლაშქარი. ეს გარემოება საგონებელში გვაგდებს ყველას.

მობანაკე ჯარისთვის ხოცავენ ყოველ დღე დიდ-ძალ საქონელს, აგროვებენ ლობიოს, ცერცვს და სხვა სურსათს.

რაც დრო გავა ჩვენი ყოფა მით უფრო უარესი შეიქნება.

პურის თესვის დროს, ისინი ვისაც შეეძლოთ დათესვა, სათესლესაც ვერ შოულობენ.

სასურსათო კომიტეტებზე არავითარი იმედის დამყარება არ შეიძლება.

რა რიგათაც არ უნდა იშრომონ ხსენებულ კომიტეტების თანამშრომლებმა კრიზისთან, მაინც ვერას გააწყობენ, რადგან არაფრიდან რაიმეს შექმნა მათ არ ძალუძთ.

სურსათი არ არის.

არ ვილაპარაკებთ იმის შესახებ, თუ რისა და ვისი ბრალია, რომ ჩვენი ქვეყანა დღეს უსურსათოდ დარჩა. ეს ფორმალი მხარეა და ახლა მისი გამოაშკარავება გალიზიანების და ვნების მეტს არაფერს მოგვიტანს.

ყველა ვამბობთ, რომ სიმშილი დიდ უბედურებას გვიმზადებს, მისი სიმკაცრე უკვე შეგვეხო.

ახლა ვიკითხოთ, რა ვქნათ?

ჩვენის აზრით ამ უმთავრეს „ყოფნა არ ყოფნი“-ს კითხვისთვის ამიერ-კავკასიის დრ. რესპუბლიკურმა მმართველობამ სასწრაფოთ უნდა მოიხდინოს ჩვენი მხრის წარმომადგენელთა ბჭობა და სისწორით გამოარკვიოს მდგომარეობა.

ამბობენ და გაზეთებშიც სწერენ, რომ ჩრდილო-კავკასიას პურის გაცემა შეუძლია.

მაშინ რაღას ვაყოვნებთ, სასწრაფოთ შევიძინოთ ჩრდილო-კავკასიაში სურსათი.

ეროვნულმა საბჭომ უპირველესი ყურადღება სურსათის საქმეს უნდა მიაქციოს. საქართველოს შინაური ცხოვრების ეკონომიურად გამაგრება დიდი კითხვაა.

ამ განკითხვის ჟამს ფორმალ მხარეს თავი დავანებოთ და ვიხელმძღვანელოთ სალი რეალი მოსაზრებით.

აქამდე ხან კერძო ინიციატივა სურსათის მომარაგებისთვის შეზღუდული იყო, რამაც ჩვენ ზიანის მეტი არაფერი გვარგუნა.

დღეს ეს კითხვაც უნდა დაისვას გადასაჭრელათ, რადგან ნამდვილი ჩვენი ინტერესი მოითხოვს, რაც შეიძლება მეტი შემოიზიდოს ჩვენს ქვეყანაში სურსათი და ვინ შემოიტანს იგი სულ ერთია.

საჭიროა ამიერ-კავკასიის დრ. მმართველობამ, თუ იგი მთავრობის ძალა უფლებით არის შემოსილი, ახლავე გამოიძიოს, თუ როგორ უნდა გამოიკვებოს ის ლაშქარი. რომელსაც ფრონტიდან უპირებენ მოხსნას და ქართულ სოფელ ქალაქებში დაბანაკებას.

დანარჩენზე შემდეგ.

ი. იმერელი.

მილიციის გაფიცვა.

გუშინ ქუთაისის სახალხო თავდაცვის მილიციამ მთელი თავის შემადგენლობით გაფიცვა გამოაცხადა.

გაფიცვის მიზეზია ჯამაგირის მიუღებლობა.

აქ არ შევეხებით მილიციის მოღვაწეობას, ნაყოფიერ თუ უნაყოფო მოქმედებას.

ყოველ შემთხვევაში ამ გარდამავალ ხანაში, როდესაც ყოველ საათს ექსცესები და სხვაგვარი უწესოებანი არის მოსალოდნელი, როდესაც მოქალაქეს უშიშრათ ქუჩაში ვერ გაუვლია, ქალაქის თავდაცვითი რაზმის გაფიცვა დიდ გამწვავებას და საფრთხეს გვიმზადებს.

შრომის ფასს, როგორც ვიცით მილიცია იღებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით ქალაქის კასიდან.

ეს სამინისტრო მეუმრავლესეთა გაბატონებამდისაც არ აძლევდა თავის დროზე ჯამაგირებს ადგილობრივ მილიციას, რაც რამდენჯერმე აღინიშნა ქუთაისის გუბერნიის აღმასრულებელ კომიტეტის სხდომებზე.

დღეს ცენტრში მეუმრავლესეთა მთავრობაა, კავკასიას და კერძოთ ამიერ-კავკასიას ამჟამათ თავის საკუთარი გამგეობა ჰპატრონობს.

აქედან ის გამომდინარეობს, რომ ცენტრი ადგილობრივ ადმინისტრაციას ჯამაგირს არ მისცემს.

როგორ უნდა მოვიქცეთ.

ქუთაისის მილიციის გაფიცვა მარტო იმ საფრთხეს კი არ გვიქადის, რომ ჩვენი ქალაქი უმცველოთ დარჩება.

ასეთი გაფიცვები სხვა დარგებშიც არის მოსალოდნელი, რაც საერთო რღვევას გამოიწვევს და ჩვენს ქვეყანას მსგავსად რუსეთისა დაღუპვის პირას მიიყვანს.

აი, ამას უნდა მიაქციოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკამ ჯეროვანი ყურადღება და ადგილობრივ ცხოვრებას საქმით მოუაროს და არა დეკლარაცია-დეკრეტებით.

სასწრაფოთ უნდა მოწესრიგდეს ამიერ-კავკასიის ფინანსიური საქმე და გამოინახოს ის საშუალებანი, რომლიც დროებით მაინც დააკმაყოფილებდა აუცილებელ მოთხოვნილებას.

მთავრობამ უნდა მიმართოს კერძო სესხს და თუ ამან ვერ გვიშველა, მაშინ უნდა გამოიცეს საკუთარი ბონები.

ფინანსების კითხვა ამიერ-კავკასიის ცხოვრებისთვის ერთი უმთავრესი კითხვაა და მას მთელი ჩვენი ძალღონით უნდა მივხედოთ.

საქართველოს ეროვნული საბჭო ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ფინანსებს და ახლავე შეუდგეს იმ გზის ძებნას, რომელიც საქართველოს ცხოვრებას რამოდენიმეთ მაინც უზრუნველჰყოფს.

დ.

რუსული პრესა.

„რუსკოე სლოვო“ დამფუძნებელი კრების არჩევნების სიებს № 8 და № 5 ორ მეთაურს უძღვნის, პირველს პლეხანოვს და მეორეს ლენინს. აი რას ამბობს იგი:

„მოსკოველებთან არც ერთი მათგანი არ არის. პლეხანოვი ავათ არის. ლენინი დღეს დაჯდება „სამშვიდობო კონფერენციის“ მაგიდის თავში, როგორც რუსეთის წარმომადგენელი, რადაც მის და ტროცკის გარდა იქნებიან ვილჰელმის და კარლოსის გენერლები.

მაგრამ რუსეთის დემოკრატიის მეთაური რომ იყოს აქ (პლეხანოვი), ის ისტორიული ფრაზით მოგვმართავდა: „მე მთელ 40 წლის განმავლობაში ვიბრძოდი საქმით, კალმით და სიტყვით რუსეთის თავისუფლებისთვის და მშრომელ მასის შეერთებისთვის და მოგიხმობთ თქვენც აქეთკენ. დეე, გააკეთონ იგივე ჩემმა მოწინააღმდეგებმა.

როგორ უპასუხებდა ამავე გამოწვევას ლენინი—სისხლით და ტალახით გათხვრილი, სამშობლოს და მუშა ხალხის გამყიდველი, სოციალიზმის მოღალატე?“

შემდეგ გაზეთი ახასიათებს ორივე პიროვნებებს.

„პლეხანოვი—ეს გამომხატველია ნამდვილ მეცნიერული ევროპის სოციალიზმის, მან შეითვისა მთელი მოწინავე დემოკრატიის ბრძნული გამოცდილებანი.

ლენინი—ეს გამომხატველია ანარხიისა, ბნელ დემაგოგიის და პოლიტიკურ ავანტიურიზმისა“.

პლეხანოვი—ქვეყნის ეკონომიური განვითარება არის, გამაგრება მრეწველობის ძალებისა, როგორც აუცილებელი საჭიროების, მშრომელი მასის შეერთების. ლენინი—არამზადა, შიმშილი, მშრომელი ხალხის მრისხანე მტრათ გადამქცევი. პლეხანოვი—ეს კავშირია მსოფლიო დემოკრატიისა, ვანდერველდესთან, გედთან მარქსის უდიდეს ჩრდილთან, ბებელთან და ჟორესსთან.

ლენინი—ეს გერმანელ იმპერიალიზმთან „კაპიტულიაცია“ არის, მალინოვთან და ჩერნომაზოვთან და დაძმობილება.“

ახასიათებს რა ამ ორივე პიროვნებებს „რუსკო სლოვო“ არჩევნების შესახებ ამბობს:

„და ამის შემდეგ მოსკოველმა მუშებმა ირჩიონ პლეხანოვი ან ლენინი“.

ზავის გარშემო.

მოლაპარიკება ბრესტ-ლიტოვსკში

ბრესტ-ლიტოვსკში მოლაპარიკებას დაესწრნენ გერმანეთის, ავსტრიის, ოსმალეთის და ბულგარეთის წარმომადგენლები. რუს დელეგატებმა მოლაპარაკების დროს იწყეს ზავის შესახებ დეკლარაციის განმარტება. მტრის დელეგატებმა შეაწყვეტინეს ეს განმარტება და განაცხადეს, რომ მათ დავალებული აქვთ ილაპარაკონ მხოლოდ სამხედრო პირობებზე დროებით ზავის ჩამოსაგდებად. რუს პარლამენტერებმა მოითხოვეს დასავლეთის ფრონტზე ჯარის მოგროვების შეწყვეტა და მოონზუნდის გაწმენდა. ეს უკანასკნელი მოთხოვნილება მტრის წარმომადგენლებმა გადაჭრით უარჰყვეს, ლენინმა და ტროცკიმ რუს დელეგატებს ტელეგრაფით შეატყობინეს, რომ არა დაეთმოთ-რა, პეტროგრადს წამოსულიყვნენ და მეორე პაემანი მტრის წარმომადგენლებისთვის რუსეთის ტერიტორიაზე დაენიშნათ.

მოკავშირეთა უთანხმოება

ბანკში უცხოელების მისიათა წარმომადგენლებს განუცხადებიათ: ტყუილია ის ხმები ვითომც მოკავშირენი თანახმანი იყვნენ დროებით ზავზე.

შვედეთის საელჩოს შუამავლობა

შვედეთის საელჩომ მიიღო თხოვნა ტროცკისა, რომელითაც მას ევალება შუამავლობა პეტროგრადსა და ბერლინს შუა, საელჩომ გერმანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპეშით გადასცა ნოტი საზავო მოსალაპარაკებლად.

კიულმანის პასუხი

ბერლინი. სრულიად რუსეთის რესპუბლიკის მთავრობას. რაიხსტაგის მთავარმა კომისიამ ერთხმად გაიზიარა სახელმწიფო კანცლერის განცხადება, რომ იგი მზადაა მსჯელობა იქონიოს ზავის შესახებ რუსულ წინადადებაზე, ამასთან გრაფმა გერტლინგმა განაცხადა: გუშინ რუსეთის მთავრობამ ცარსკოე სელოდან მოგვცა რადიოტელეგრამა, რადიოტელეგრამას ხელს აწერენ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი და სახალხო კომისრების თავმჯდომარე ლენინი. რადიოტელეგრამა მოუწოდებს მეომარ ქვეყნების მთავრობათ და ერებს, რომ მოკლე ხანში დაიწყონ მოლაპარაკება სამხედრო მოქმედებათა შეჩერებისა საყოველთაო ზავის ჩამოგდების შესახებ. მე მზად ვარ განვაცხადო, რომ რუსის მთავრობის წინადადებაში არის პუნქტები, რომლებშიც შეგვიძლიან საფუძვლად დავუდოთ მოლაპარაკებას. მე მზად ვარ შევუდგე მოლაპარაკებას, თუ რუსეთის მთავრობა ამისთვის საგანგებო რწმუნებულებს გამოგზავნის. იმედი მაქვს და მსურს, რომ ეს ლტოლვილება კეთილად დაგვირგვინდეს და ზავი მოგვიპოვოს.

გერმანეთის გარეშე საქმეთა.
მინისტრი კიულმანი.

მოკავშირეთა კონფერენცია პარიზში

პეტროგრადი. პარიზის რუსული საინფორმაციო ბიურო დეპეშით იტყობინება:

ხვალ მოკავშირეთა კონფერენცია მუშაობას იწყებს. პრესა ერთხმად აღნიშნავს განსახილველ მიზნების დიდმნიშვნელობას. პირველ რიგში დასმულია მოკავშირეთა პირობების შეთანხმება ომის საწარმოებლად, ამერიკის შველა, იაპონიის ძალების გამოყენება და მოკავშირეთა დამოკიდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულება რუსეთის ამბებთან. გაზეთები თუმცა ერთობ დიდ უკმაყოფილებას უცხადებენ ლენინსა და მის გზებდება წერილები, სადაც თბილი გრძნობა გამოსჭვივის რევოლუციური რუსეთისადმი, გაზეთები იმედს გამოსთქვამენ რომ იგი შესძლებს გადაიგდოს ის მძიმე უღელი, რომელიც მას დაღუპვისაკენ მიაქანებს.

მოკავშირეთა კონფერენციაზე იტალიიდან ესწრებიან ორლანდო, სონინო და გენერალი კადორნი, ინგლისიდან — ლლოიდ ჯორჯი, ბალფური, ადმირალი ჯელიკო და გენერალი რობერტსონი. სერბეთიდან - პაშიჩი, საბერძნეთიდან — ვენიზელოსი. მაკლაკოვის მონაწილეობის შესახებ ცნობები არ გვაქვს, თუმცა საფრანგეთის მთავრობა სრულებითაც არ არის წინააღმდეგი მის დასწრებაზე.

გერმანული პრესა.

კოპენჰაგენი. ნოემბ. 15. „ფორვერტს“-ი სწერს: გერმანეთის მთავრობა მოლაპარაკებას გამართავს პეტროგრადთან, თუ ბოლშევიკები მიიღებენ გერმანეთის მიერ წამოყენებულ პირობებს დროებითი ზავის ჩამოსაგდებად. ამ პირობებს, ისევე როგორც ზავის პირობებს, უფროსი სამხედრო მოხელენი განიხილავენ.

დეპეშა მესოპოტამიის ჯარის მთავარსარდლისადმი.

გიორგობისთვის 17 მე მივიღე კავკასიის ფრონტის ოსმალთა ჯარის სარდლის ფერიკ-ვეხიბ-ფაშის საზავო წინადადება. მივიღე-რა მხედველობაში საერთო პოლიტიკური მდგომარეობა რუსეთისა და ის, რომ ავსტრიოგერმანიის ფრონტზე უკვე შეუდგნენ მოლაპარაკებას, მე, ამიერ-კავკასიის დროებით მთავრობასთან შეთანხმებით, დროულად ვსცანი ოსმალთა სარდლის წინადადების მიღება და წინადადება მივეცი შესწყვიტონ საომარი მოქმედებანი მთელ კავკასიის ფრონტზე, იმ პირობით, რომ არავითარი სტრატეგიული გადაჯგუფება არ მოახდინონ, რასაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ინგლისის ლაშქარს; დარჩნენ მათ მიერ დაკავებულ პოზიციებზე და მოუცადონ საზავო მოლაპარაკების დასრულებას და მისი პირობების გამორკვევას. მივიღე რა ეს გადაწყვეტილება, საზავო მოლაპარაკების უთუოდ პირობად დავისახე დავიცვა თქვენი ბრწყინვალე ლაშქრის ინტერესები და ყოველი ზომა ვიხმარო, რათა კავკასიის ფრონტზე მდგომი ოსმალეთის ჯარი არ გააძლიერონ თქვენს წინააღმდეგ მიმართული.

პრჟევალსკი.
ლებედინსკი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

პრაპორშჩიკ კრილენკოს შეურაცხყოფა.

პრაპორშჩიკმა კრილენკომ შემდეგი დეპეში მიიღო: „მე—კომისარი მე 13 კორპუსის ომში 1917 წლიდან. მოხალისე, ეხლა პორუჩიკი 56 სიბირის მსროლელ რაზმისა. მაქვს წმ. გიორგის ოფიცრის ჯვარი. ვირიცხები ს.-დ. მენშევიკების ჯგუფში.

იმ შეურაცხყოფისთვის და დამცირებისთვის, რომელიც განიცადა მრავალტანჯულმა ჩვენმა სამშობლო რუსეთმა, იმის გამო რომ დაინიშნეთ თქვენ პრაპორშჩიკი, არავისგან არასოდეს ცნობილი მაღალ და წმინდა ადგილზე უმაღლეს მთავარსარდლისაზე, შორიდან შემოგკრავ პირის სარხეში დაჭრილ მარჯვენა სულს და გეკითხები:

ნუ თუ ამის შემდეგაც თქვენ შეუდგებით უმაღლეს მთავარსარდლის მოვალეობის ასრულებას? ასეთივე დეპეშა უგზავნი იმ უაზროებს, რომლებმაც თქვენ დაგნიშნათ. ვიატკის გუბერნიის გლეხის შვილი პორუჩიკი მარცევი. მოქმედი ლაშქარი 12 ნოემბერი 1917 წელი.

ერთი სამპიროვნებათ.

პეტრეს ქალაქის თვითმართველობის დათხოვნის დეკრეტზე არის სამჯელ მოწერილი ხელი: პირველი—საკუთარი ხელი ლენინის, როგორც სახალხო კომისარების საბჭოს თავმჯდომარის. შემდეგ ხაზში „ვამტკიცებ“—არის ხელნაწერი „ლენინ“ სხვა მოხაზულებით, და შემდეგ მესამეჯელ კიდევ „ულიანოვ—ლენინ“ საკუთარი ჩვეულებრივი მოსაზრებებით.

პ. ნ მილიუკოვის და ა. ი. შინგარევის ბინის გაჩხრეკა.

19 ნოემბერს, 4 საათზე მილიუკოვის და შინგარევის სახლი გაჩხრიკეს. არც ერთი მოღვაწე გაჩხრეკას არ დასწრებია. წითელმა გვარდიელებმა მთელი ბინა დამფუძნებელი კრების წევრის მილიუკოვისა გადმოაბრუნეს. წაიღეს პირადი მიწერ მოწერის ბარათები იმ დროისა, როცა ის საგარეო მინისტრად იყო და ის ცნობები, რომელიც ეგზავნებოდა ხალხის თავისუფლების პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. შინგარევის გაჩხრეკის შემდეგ წითელი გვარდიელები გაემგზავრენ ხალხის თავისუფლების პარტიის ცენტრალურ კომიტეტის გასაჩხრეკად.

კალედინის წინააღმდეგ.

ერთ ოფიცერის სიტყვით პეტრეს ქალაქიდან 19 ნოემბერს კალედინის წინააღმდეგ საბჭოს ჯარი წავიდოდა. ეს ჯარი სათადარიგო გვარდიელებით არიან რიცხვით ხუთ პოლკამდე. გზაში ისინი შემოიერთებენ იმ „გარნიზონების“ ჯარს, რომლებიც იქნებიან დაბანაკებული გასავლელ ქალაქებში.

ულტიმატუმი „ვიკჟელს“.

რკინის გზის ტელეგრაფის მოსამსახურეებმა, რომლებიც გზათა მინისტრის განკარგულებაში იმყოფებიან „ვიკჟელის“ პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადეს ორგანიზაციის თვითნებითი გამოსვლებისთვის, და თუ „ვიკჟელმა“ თავისი ტაქტიკა არ შეიცვალა 20 ნოემბერს, რკ. გზ. მოსამსახურენი სიყოველთაო გაფიცვას გამოაცხადებენ.

მოგილიოვი და ბოლშევიკები.

მოგილიოვში-ქალაქის თვითმართველობის, ერობის და ნდობის მოსამსახურეებმა დაადგინეს-თუ უფლებები ბოლშევიკებმა ხელში ჩაიგდეს, არავითარ მათ განკარგულებებს არ დაემორჩილონ.

„ვიკჟელის განკარგულება“.

„ვიკჟელმა“ განკარგულება გასცა პოზიციებიდან ჯარები არ გამოუშვან.

პეტროგრადის ქალაქის თავის დატუსაღება.

18 ნოემბერს, ღამე შეიპყრეს პეტრე ქალაქის თავი. გ. ი. შრეიდერი. იგი სმოლნის ინსტიტუტში გააგზავნეს.

იმავე ღამეს შეიპყრეს თვითმართველობის ხმოსნები: დუბოსარსკი, კაუფმანი, ლუცკი, მენდელსონი, პროტოპოპოვი და სიდორენკო.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

დასავლეთ საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის სტუდენტთ-ორგანიზაციის პრეზიდიუმის წევრებს ვსთხოვ აუცილებლივ გამოცხადდენ დღეს, 29 ნოემბერს კრებაზე საღამოს 6 საათზე. **თავმჯდომარე.**

◆ **დ. ნ. ბაქრაძის გადაცვალება.** 26 ნოემბერს, სოფ. სევაში (რაჭის მაზ. რა) გადაიცვალა 70 იან წლების სახოგადო მოღვაწე დავით ნიკოლოზის ძე ბაქრაძე. დაკრძალვა მოხდება იქვე, დღეს 29 ნოემბერს.

◆ **მილიციონერების გაფიცვა.** ქუთაისის მილიციის საკითხი დღემდის გამოურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდა. თვით მილიციონერებიც ცუდ მდგომარეობაში იყვნენ. მათ დანიშნული ჰქონდათ თვიურად 70 მანეთი, მაგრამ იმასაც დროზე ვერ ღებულობდენ. მილიციონერებმა არა ერთხელ მიმართა ქალაქის გამგეობას ჯამაგირები მოემატებია და თავის დროზე მიეცა ხვედრი ფული, მაგრამ კასა ცალიერმა ქალაქის გამგეობამ ეს ვერ შესძლო. უკანასკნელ დღეებში მათი ჯამაგირი თვიურად 125 მანეთად გახადეს, მაგრამ მილიცია აღებას ვერ ეღირსა. ამისთვის მილიციონერებმა თათბირი იქონიეს 27 ნოემბერს და დაადგინეს, რომ გაიფიცონ. ეს დადგენილება მათ სისრულეში მოიყვანეს დილით 28 ნოემბერს. გუშინ არც ერთი მილიციონერი ქუჩაში არ გამოსულა. ისედაც უპატრონო ქალაქს, ეჭვი არ არის ეხლა ცუდი მდგომარეობა მოელის. მილიციონერები ამ ჟამათ 150 მანეთს თხოულობენ თვეში.

◆ **ფოსტა ტელეგრაფის გაფუჭება.** ქუთაისის ფოსტა ტელეგრაფის უფროსს ატყობინებენ, რომ თოვლის გამო სადგურ ხაშურისა და ზესტაფონის შუა გაფუჭებულა ტელეგრაფის ბოძები. 20 ბოძამდის სრულიად წაქცეულია. გუშინ ქუთაისში დეპეშები არ მოსულა. აღარც ქუთაისიდან იგზავნება დეპეშები სანამ ტელეგრაფის მავთულები და ბოძები აღდგენილი არ იქმნება.

◆ **თოვლი.** 27 ნოემბერს ქუთაისში თოვლი მოვიდა.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში.

ოთხშაბათს, ნოემბრის 29 ს ქალთა წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელში გაიმართება მოხსენება საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობის და სხვა ფრიად საყურადღებო კითხვების შესახებ, მოხსენებას წაიკითხავენ: 1. **ვასილ წერეთელი**, 2. **ტრიფონ ჯაფარიძე** და სხვანი. მოხსენება დაიწყება საღამოს რვა საათზე.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ
პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტი.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა
ორგანიზაციის პრეზიდიუმის წევრებს ვსთხოვ მოვიდენ

დღეს 29 ნოემბერს

პრეზიდიუმის

კრებაზე

საღამოს 6 საათზე ჩვენი ქვეყნის რედაქციაში.
ერ.-დემ. პარტ. სტ. ორგ. პრეზ.
თავმჯდომარე: **ნიკ. აბესაძე.**

◆ **ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტში.** 27 ნოემბერს მოხდა ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა, რომელზედაც გარჩეულ იქმნა, სხვათა შორის, საკითხი სოფლის მწერლების და კომისრების მდგომარეობის შესახებ. სოფლის კომისრები აგერ 8 თვეზე მეტია, რაც მსახურებენ და დღემდის სასყიდელი არ მიუღიათ. ასეთვე მდგომარეობაშია მწერლებიც; მათ თუმცა აღნიშნული აქვთ ჯამაგირი მაგრამ ჯერ ვერსაიდან ვერ ღებულობენ. აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა მიეცეს წინადადება ყველა მაზრების კომისრებს გამოარკვიონ, თუ რამდენი უნდა დაენიშნოს თვიურად სოფლის მწერლებსა და კომისრებს და წარმოადგინონ საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტში როდესაც გამოირკვევა, თუ რამდენი დასჭირდება სულ მწერლებსა და კომისრებს, შემდეგ გადასახადი გაწერილ იქმნება სოფლის მცხოვრებლებზე, რითაც უნდა დაკმაყოფილებულ იქმნას სოფლის კომისრებიცა და მწერლებიც.

◆ **წამლები აფთიაქისათვის.** ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობამ შუამდგომლობა აღძრა სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის ამიერ კავკასიის განყოფილების წინაშე, რომ ქუთაისის ქალაქის აფთიაქებისთვის და საავადმყოფოებისათვის დაუთმოს წამლეულობა და ჭრილობების შესახვევი მასალა.

◆ **წერილი ტუსაღებიდან.** ქუთაისის გუბერნიის კომისარმა ადგილობრივ ციხეში მოთავსებულ პოლიტიკურ დამნაშავეებისაგან წერილი მიიღო, რომლითაც სთხოვენ მიბრძანდეს სატუსაღოში და გამოარკვიოს მათსა და ციხის უფროსის შორის უთანხმოება.

◆ **ციხის კომისრის თანამდებობის გაუქმება.** ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელმა კომიტეტმა გააუქმა ციხის კომისრის თანამდებობა.

◆ **აფთიაქის მოსამსახურეთა გარშემო** ამას წინათ ქუთაისის აფთიაქების მოსამსახურეთა აღმასრულებელმა კომიტეტმა ქალაქის გამგეობაში თხოვნა შეიტანა, თხოულობდენ ჯამაგირების მომატებას. ეს საკითხი ქალაქის გამგეობის, საფინანსო კომისიისა და საფთიაქო კომისიის შეერთებულმა კრებამ 26 ნოემბერს გაარჩია და დაადგინა თვიურად აფთიაქის მოწაფეებს მიეცეს; პირველ წლამდის—150 მანეთი, ორ წლამდის—210 მანეთი, ორ წელზე ზევით კი—270 მანეთი- პროვიზორების თანაშემწეებს: პირველ წლამდის—300 მანეთი, ორ წლამდის—337 მან და 50 კ., სამ წლამდის—375 მან და სამ წელზე ზევით—397 მანეთი. პროვიზორებს თვიურად მიეცემათ—450 მანეთი. ამის შესახებ უნდა აირჩეს კომისია, რომელიც გაემგზავრება თბილისს, გაეცნობა თუ იქ როგორ არის დაყენებული საქმე და გამონახავს ზომებს, თუ რა სახსრით უნდა დააკმაყოფილონ აფთიაქის მოსამსახურეები, რომ აფთიაქმა დეფიციტი არ ნახოს.

◆ **ადგილობრივი შალი.** ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა ხონის ქალაქის თვითმმართველობას გაუგზავნა 50 ათასი მანეთი საგუბერნიო სასურსათო კომიტეტისათვის ადგილობრივი შალის შესაძენათ.

◆ **შეშის განაწილება.** ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობის გამგეობამ უკვე გაანაწილა ღატაკ მცხოვრებთა შორის 100 საჟენი შეშა ქალაქს აღარ მოეპოება არც გასაყიდი და აღარც უფასოთ დასარიგებელი შეშა.

◆ **ქურდობა.** 26 ნოემბერს, დღის 2 საათზე ბაზრის ქუჩაზე ხაფსონიამ სათადარიგო ჯარის კაცის ცოლს ეკატერინე გაჩეჩილაძისას მოჰპარა 92 მანეთი. ხაფსონია დააპატიმრეს.

— ამავე დღეს, მწვანე ბაზარში პროფესიონალურმა ჯიბგირმა ალექსი ნიქაბერიძემ 25 მანეთი ჯიბიდან ამოაცალა მილიციონერის ცოლს სმოლიაკისას. ნიქაბერიძე დააპატიმრეს.

◆ **დაჭრა.** 26 ნოემბერს, დღის 2 საათზე, მესხეთის ქუჩაზე ნიკ. ნიქაბაძემ ხანჯლით დაჭრა სოფ. ვანის მცხოვრები სილოვან ქვანია.

◆ **სურსათი.** ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა მიიღო 1 ვაგონი პურის ფქვილი და 1 ვაგონი ხორბალი.

◆ **შაგინოვის გადაყვანა.** მოკლე მომავალში საოლქო სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი შაგინოვი გადაყვანილ -- იქმნება თბილისში ალდგენის.

◆ **გელათის ხიდის აღდგენის შესახებ** ამას წინათ ქუთათელმა მიტროპოლიტმა გუბერნიის კომისარს სთხოვა, რომ გელათში მდ. წყალწითელის დანგრეული ხიდი აღდგენილ ყოფილიყო, რომ ამით მლოცველებს შეძლება ჰქონოდათ გელათის მონასტერში ყოველთვის მისულიყვნენ. ამის შესახებ გუბერნიის კომისარმა შესაფერი განკარგულება მოახდინა.

◆ **ავტომობილი.** ქუთაისის ქალაქის გამგეობამ სამხედრო მიმოსვლის უფროსის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ ქუთაისისათვის დაუთმონ ბარგის მზიდავი ერთი ავტომობილი.

◆ **ქუთაისის** საგუბერნიო აღმასრულებელმა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა, რომ სოფ. შუამთაში (ტობანიერის საზოგადოება) გაიხსნას ფოსტა ტელეგრაფის განყოფილება.

პროვინცია

— **ქ. ზესტაფონი.** ადგილობრივმა ციხის უფროსმა ქუთაისის გუბერნიის კომისრის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ ხსენებული ციხე შეშით უზრუნველყოფილი იქმნას.

— 27 ნოემბერს აქ თოვლი მოვიდა.

† დავით ნიკოლოზის ძე ბაქრაძე.

გუშინ დეპეშით გვაცნობეს, რომ რაჭის მაზრაში, სოფელ სევაში გარდაიცვალა დავით ნიკოლოზის ძე ბაქრაძე. განსვენებული თუმცა ღრმა მოხუცებული იყო (83 წლისა), მაგრამ ჯანმრთელად იყო და ამ უკანასკნელ დრომდე ფხიზლად უკვირდებოდა კაცობრიობის ცხოვრების მიმდინარეობას. დავით ბაქრაძე ცნობილი იყო ჩვენში, როგორც განათლებული მოღვაწე, პატიოსნებით სავსე და გულწრფელი მუშაკი ყოველ ეროვნულ საქმეში.

განსვენებული იყო ღარიბი აზნაურის შვილი; სწავლა მიიღო ჯერ სასულიერო სასწავლებელსა და სემინარიაში, შემდეგ უნივერსიტეტში. 35 წლის განმავლობაში განსვენებული მსახურობდა სასამართლო უწყებაში, ჯერ იყო გამომძიებლად, შემდეგ მომრიგებელ მოსამართლედ და ბოლოს კი ოლქის სამართველოს სპალატო მსაჯულად განსვენებული პირნათლად ასრულებდა თავის სამსახურს და ითვლებოდა სამართლიან მსაჯულად. განსვენებული დიდის ყურადღებით ეკიდებოდა ყოველ ქართველ საქმეს და ხელს უწყობდა მის წარმატებას.

განსვენებულის დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა კეთილშობილება, გულწრფელობა, მდაბიო ცხოვრება და მამულის სიყვარული. განსვენებულის მოღვაწეობა განსაკუთრებით გამოიხატა სამეურნეო. სასწავლებლის, სადგილ მამულო ბანკის და საურთიერთო ნდობის საზოგადოების საქმეებში.

დავით ბაქრაძე იშვიათი ალალ-მართალი ადამიანი იყო, რითაც ზოგიერთნი უწესოთ სარგებლობდენ და მას ბევრ უსიამოვნებას ახვედრებდენ; ამიტომაც განსვენებულმა ბევრი მწარე დღე განიცადა.

საუკუნოთ იყოს ხსენება შენი კეთილო ადამიანო!

ეროვნულ ყრილობის გამო.

საქართველოს პარტიებათ დაყოფა, ჩვენს მტრებს, საქართველოს დაქუცმაცება, დანაწილება ეგონათ. მათ უსაფუძვლო, უნიადაგო და ნაჩქარევ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. არამც თუ ჩუმად, თავის გულში იცინოდნენ ხარხარობდენ მაის გამო, „ჩვენი მეგობრები“ არამედ აშკარად, ყველას გასაგონად გაიძახოდენ: ცადა ქვეყანა შეერთდება და საქართველოში მოქმედი პარტიების შეერთება კი არ მოხერხდებაო. ამ რამდენიმე თვის წინად რომ ინტერპარტიული ეროვნული საბჭო დაარსდა, საქართველოს გაერთიანების მოძულენი, ცოტათი შეკრთნენ და პირის სახე დაუნაოჭდათ მწუხარებამ: ეს რა ამბავია, ეს სიხარულის მაუწყებელი მერცხალი საიდგან მოუფრინდათ ქართველებსაო. ამ ამბით გაოცებულნი ჩვენი არაკეთილის მოსურნენი, თავს მით ინუგეშებდნენ, რომ ქართველები დაუდგრომელი ხალხია შერიგებაც მალე იციან და წაჩხუბებაცო და მალე ვნახავთ ინტერპარტიული საბჭო ყინულზე დაწერილი თამასუქი აღმოჩნდესო. სასიხარულოდ მთელი ქართველი ერისა ჩვენი მტრების მოლოდინი არ გამართლდა და ის მდოგვის მარცვალი, რომელიც ინტერპარტიულ საბჭოს ნიადაგზე დაეცა, დიდ ვეებერთელა, უზარმაზარ ხედ გადაიქცა და თავის ტოტებ ქვეშ სანეტარო თავისუფლებისმოტრფიალე ქართველ ერს, განურჩევლად მიმართულებისა, წოდებისა და რჯულისა თავი მოუყარა. ამ ხის ტოტებ ქვეშ გამოიჭედა ახალი, თავისუფალი საქართველოს ბედი, აქ დაიქუხა და მთელ კაცობრიობას გააგონა საკუთარი „მეს“ არსებობა ქართველმა ერმა ამ „მეს“ მარტო თავისთვის კი არ სურს ბედნიერება და ნეტარება, არამედ იგი მოუწოდებს ყველა მეზობელ ერს განიხაროს საერთო, საკაცობრიო სიხარულითა და თავისი ბედი ისე მოაწყოს, როგორც მას მოუხდება. აი ეს არის იდეალი, ეს არის საერთო მისწრაფება ქართველი ერისა. მას უნდა თვითონაც იყოს და სხვამაც იარსებოს საერთო ძმური სიყვარულითა და ერთობითა. ვაშა საქართველოს ეროვნულ ყრილობის დადგენილებას, ვაშა მის მოთავეებს და გამარჯვება რუსეთის დიდ რევოლუციას, რომელმაც წარმოშვა ეს ყრილობა.

მ. ბუაჩიძე.

არჩევნები სოფლად.

სოფ. ლაილაში. 18 ნოემბერს საღამოს 3 საათზე დაიწყო საარჩევნო ყუთების გახსნა, აღმოჩნდა, რომ 1523 ამომრჩეველში ყუთთან 1519 მისულიყო. ამათში № 1-სთვის მიეცა ხმა 1409, მე-№ 6—103, ხოლო მე 8—7. ამისთანა მცირე რიცხვი მე-8 ნომრისა, აიხსნება მით, რომ სიები № 8 მიელოთ ძლიერ გვიან და ისიც მხოლოთ 10 ცალი. ბევრი თხოულობდა მერვე ნომერს, მაგრამ ატყუებდენ ხალხს თურმე, ვითომც ეროვნულ დემოკრატები შეუერთდენ რომელიმე პარტიას და სულ ერთია, რომელსაც მისცემთ ხმასო. იმ შვიდ ხმაში ორი, ნომრის მაგიერ ისრაელების მოწოდება აღმოჩნდა. რადგან სია ვერ უშოვიათ, იმით უსარგებლნიათ. იმედია მომავალში მაინც გამოჩნდება ვინმე, გაუმშლის ხალხს გულს და ათქმევინებს, რაც მას სურს და არა იმას, რასაც დღეს აძახებინებენ გაბრიუებულ ხალხს,

X.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკელია.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში